პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
პარასკევი
24 ივლისი
№ 170 (18112)
ფასი 2 კაპ.

ჩვენი საზოგადოების ჰუმანიზმი

ჩვენი ქვეყანა, ყველა მისი ხალხი დღეს სკკპ XXVI ყრილობის იდეებით ცხოვრობენ. პარტიის გეგმებით ხორციშესხმული ეს ნამდვილად ჰუმანისტური იდეები მშრომელებს შთაგონებს ხახელოვან საქმეებს, უდგიძებს კომუნისტურ მშენებლობაში ახალი მწვერვალების მიღწევის მისწრაფებას.

კ. მარქსი კომუნისტებს რეალურ ჰუმანისტებს უწოდებდა. ლენინური პარტია, სანუკვარი მიზნისაკენ საბჭოთა ხალხის წინსვლის ორიენტირებს რომ განსაზღვრავს და ქვეყნის ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და სულიერი პოტენციალის ყოველმხრივ გამოყენებისათვის იღვწის, გვიანლოდს კომუნისტურ მომავალს. ჩვენს მომწიფებულ სოციალისტურ საზოგადოებაში წინსვლის კვალობაზე სულ უფრო სრულად ვლინდება ჰუმანისტური იდეალების არსი, რომლებიც პიროვნების აყვავებისათვის, საყოველთაო-სახალხო ბედნიერებისათვის ხორციელდება. საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუჯობესებასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი ამოცანებისაკენ სახალხო მეურნეობის უფრო ღრმა შემობრუნება, სკკპ XXVI ყრილობაზე წამოყენებული დევიზი — კონკრეტული ზრუნვა კონკრეტული ადამიანისათვის — ჩვენი პარტიის პოლიტიკის ჰუმანიზმის უაღრესად მკაფიო დადასტურებაა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავის საქმიანობის არსად ის მიაჩნია, რომ უზრუნველყოს ხალხის ცხოვრების ყველა მხარის გაუმჯობესება, მისი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილება. ბევრი რამ კეთდება ამ მიმართულებით ახლანდელ ხუთწლედში. გაიზრდება მოხმარების ფონდის ხვედრითი წილი ქვეყნის ეროვნულ შემოსავალში. დაიწყო სპეციალური სახურსათო პროგრამის შემუშავება. უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება სახალხო მოხმარების საჭიროების წარმოების გაფართოებასა და ხარისხის ამაღლებას, მომსახურების სფეროს განვითარებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ახლახან მიღებულ დადგენილებებში დასახულია ბავშვებიანი ოჯახებისათვის სახელმწიფო დახმარების გაძლიერების, მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი. საყოველთაო-სახალხო მოწონება დაიმსახურა სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მიერ მიღებულმა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლებმა.

სოციალისტური ჰუმანიზმი რეალური, ქმედითი ჰუმანიზმია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოთა ადამიანებს უვითარებს ქვეყნის უაირათიანი ბაკონ-პატრონების გრძნობას, უნერგავს სიყვარულსა და პატივისცემას შრომისადმი როგორც მატერიალურ და კულტურულ სიკეთეთა გაუმჯობესების წყაროსადმი. აყალიბებს რა კომუნისტის შენებელთა ცხოვრებისაკენ მთელი საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის მათ მიერ არჩეულ დარგში შრომა მიაჩნია თითოეულის მოვალეობად და ღირსების საქმედ.

ჩვენი კეთილშობილური მიზნები განუყოფელია იმ ანტისაზოგადოებრივი მოვლენის, კაცვის, მოქმედების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლისაგან, რომლებიც საბჭოთა ადამიანებს ხელს უშლის მშვიდად, ღირსეულად, ბედნიერად იცხოვრონ და წარმატებით იმუშაონ. „...ორგანიზაციული, ფინანსური და იურიდიული საშუალებებით, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა საანგარიშო მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის XXVI ყრილობისადმი, — მაგრად უნდა ამოვაჭრათ მუქთახორობის, მეჭრთამეობის, სპეკულაციის, უშრომელი შემოსავლის, სოციალისტური საკუთრების ყოველგვარი ხელყოფის ყოველგვარი ხვრელი“.

ჩვენი პარტიის მთელ პოლიტიკას საფუძვლად უდევს ახალი ადამიანის ჩამოყალიბების, პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ამოცანების გადაწყვეტასთან სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების განუყრელი კავშირი. ახლანდელ ხუთწლედშიც ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების კონკრეტულ ამოცანებთან ერთად შემუშავებულია ღონისძიებათა სისტემა, რომელთა მიზანია საზოგადოების სულიერი სიმდიდრის შემდგომი ზრდა, ადამიანთა განათლების დონის ამაღლება, მშრომელთა ინიციატივა და მოქმედების გაუმჯობესება. პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, კოლექტივებს აქვთ ფართო შესაძლებლობანი, რათა დაეხმარონ თითოეულ მოქალაქეს უკეთ გამოავლინოს თავისი უნარი, ნიჭი, ჩაუნერგოს ადამიანებს იდეური სიმტკიცე, ამაღლებული ზნეობრივი თვისებები.

მომწიფებული სოციალიზმის საზოგადოების დიდი ჰუმანიზმი ვლინდება იმითაც, რომ ქვეყნის მოქალაქეები აქტიურად ახორციელებენ სსრ კავშირის კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებს. პარტია უზრუნველყოფს დემოკრატიის შემდგომ განვითარებას, ამაღლებს მშრომელი ადამიანის ავტორიტეტს, უქმნის მას საზოგადოების საკეთილდღეო შემოქმედების ახალრეს, აქტიურებს მშრომელთა მონაწილეობას საზოგადოებრივი საქმეების მართვაში, განამტკიცებს ხალხთა მეგობრობას, უნერგავს ადამიანებს კოლექტივიზმის, სიკეთის, ურთიერთდახმარების გრძნობას. ჩვენში ნამდვილად გაიმარჯვა პრინციპმა: ადამიანი ადამიანისათვის ამხანაგი, მეგობარი, ძმაა!

კომუნიზმის ჰუმანისტური იდეალები, რომლებიც სულ უფრო სრულად და ღრმად ვლინდება ჩვენს დღევანდელობაში, კიდევ უფრო ზრდის მასების პოლიტიკურ და შრომითს აქტიურობას, ახალი სამყაროს მშენებლობისა იდეური წრთობის გაძლიერების, მოქალაქეობრივი სიმწიფის ამაღლების ერთ-ერთი ნაკადი ხაშუალებაა ამ იდეალების, როგორც სოციალისტური ცხოვრების წესის დამახასიათებელი, უფიქმდებელი ნიშნის, როგორც თითოეული ადამიანის კეთილდღეობისა და განვითარებისათვის მთელი საზოგადოების რეალური ზრუნვის გამოხატულების პროპაგანდა. ამავე დროს ეს არის პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების ძალავრი იარაღიც ბურჟუაზიული და რევიზიონისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში, იმ „ღირებულებათა“ მხილებაში, რომლებსაც შობს ექსპლოატატორული წყობილება. სოციალისტური ჰუმანიზმი უპირისპირდება ყოველგვარ ცდას დაამცირონ ადამიანი, დათრგუნონ მისი პიროვნება ძველ სამყაროში გამეფებული ძალმომრეობით, ტერორით.

ჩვენი ჰუმანისტური იდეალები ვლინდება ავრეთვე პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის ერთიანობით. საბჭოთა ადამიანები, რომლებიც სრულიადაც არ ანელებენ მშობლიური მიწისადმი, სოციალისტური წყობილებისადმი ერთგულების გრძნობას, პირნათლად ასრულებენ თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობას. ჩვენთვის ჰუმანურობა და სამართლიანობა განუყრელად არის დაკავშირებული არაადამიანურობის ისეთი გამოვლინებების წინააღმდეგ აქტიურ მოქმედებასთან, როგორიც არის ამერიკის შეერთებული შტატების მიერ „ძალის პოზიციიდან“ განხორციელებული პოლიტიკა, ინგლისელ იმპერიალისტთა თარეში ჩრდილოეთ ირლანდიაში, ისრაელის აგრესიული მეკობრული აქციები ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, სამხედრო ხუნტის დანაშაული ჩილეში ან რასისტული რეჟიმისა — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. ჩვენ ჰუმანურ საქმედ მიგვაჩნია იმ ხალხებისათვის მხარდაჭერა, რომლებიც იცავენ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, უკეთესადმი, ვინც იბრძვის ომის წინააღმდეგ, მტკიცე მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის. საბჭოეთის მოქალაქენი ყველაზე ხანუკვარ ფიქრებს მიაპყრობენ იმას, რომ არ დაუშვან, რათა ჩვენი დედამიწა გადაიქცეს ბირთვულ ნახანძრალად.

კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანები პარტიის ჭეთაურობით არიან ნამდვილი ჰუმანიზმის მედროშენი. მშვიდობისათვის, სოციალური პროგრესისათვის, კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის მებრძოლები.

ОПРАВДА

28 ივლისის მოწინავე

ოფიციალურ ვიზიტად

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით 23 ივლისს მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა მექსიკის შეერთებული შტატების ეროვნული კონგრესის დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას დეპუტატთა პალატის სახელმწიფო მმართველობისა და კონსტიტუციის საკითხთა კომისიის მდივანი ანტონიო უიტრონმ უიტრონი. (საკდესი).

სტუმრად მუზეუმში

ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ ბ. ყარმალმა, რომელიც საბჭოთა კავშირში დასასვენებლად იმყოფება, 23 ივლისს დაათვალიერა მოსკოვის ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმი. მან მუზეუმს საჩუქრად გადასცა მოზაიკური პანო. (საკდესი).

ბრალი მიუძღვის ჭირნახულის დაღუპვაში...

სახე გაშავებოდათ შირაქის მზისაგან... მწუხარებისაგან ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს სატირალში მოხვედი, სწორედ რომ სატირალში. კახეთის ძველ, ოდესღაც განთქმულ სოფელ არბოშიკში ჭირნახეული ყურძენი დაიღუპა. წლევანდელ შემოდგომაზე ვეღარ მოისთვლიან არბოშიკელები.

სოფლის მოედანთან კედელზე სისხლივით წითელი ტრანსპარანტი გამოუკრავთ: „ყველანი ვეწანებიან გადასარჩენად!“ აქაურ ივლისის მზეზე ყველა საღებავი ერთ დღეში ხუნდება. ეს მოწოდება ახალია, იგი ახლახან გამორჩნდა. მაგრამ, ვაი რომ, გვიან გამოჩნდა. მოსავალს ვეღარაფერს უშველი. და თითქოს არბოშიკელთა მონდომებას, მათს უბედურებასა და ბედუკუღმართობას დასცინიან, აბუჩად იგდებენო, გვერდით გამოუკიდიათ წარწერა: „ეს მე არ მეხება“. ფილმის აფიშაა.

მოწოდების გვერდით იგი, რა თქმა უნდა, შემთხვევით გამოჩნდა. მაგრამ იმას კი შემთხვევითი არ ეთქმის, რაც არბოშიკში მოხდა.

15 ივნისს რაიონის ენერგომოლგამა თინა მურვანიძემ არბოშიკში ჭრაქის კერა აღმოაჩინა. მაშინვე გამგეობას მიაშურა, რათა კოლმეურნეობის თავმჯდომარის დავით ბატიაშვილისათვის შეეტყობინებინა ეს ამბავი. მაგრამ, როცა თავმჯდომარე გამგეობაში არ დახვდა, პარტკომის მდივანთან ზაურ ჯამალაშვილთან მივიდა. თავმჯდომარე მან მოუძებნა.

— სანამ ჭრაქის კერა არ გაზრდილა, უნდა ვიმოქმედოთ!

— პანიკას ნუ ქმნი, — თქვა თავმჯდომარემ, თქვა მშვიდად და მბრძანებლურად. მტკიცედ თქვა. მდივანმაც უკან დაიხია. ვეღარაფერი დაუპირისპირა თავმჯდომარის სიმტკიცესა და მბრძანებლურ სიმშვიდეს.

დ. ბატიაშვილის ეს თვისებები დღეს საყოველთაო ინტერესს წარმოადგენს. ხელმძღვანელის სიმტკიცე შესანიშნავი თვისებაა, თუ იგი უზრუნველყოფილია კომპეტენტურობითა და ადამიანებისათვის ზრუნვით. უამთვისებებოდ ეს გრძნობა თავდაჯერებად იქცევა. იქცევა უზარო ამბიციად, რომელიც მეტისმეტად ბევრს იწონის ეკონომიკის სასწორზე: ამ შემთხვევაში — ორ მილიონ მანეთზე მეტ ზარალს. ზნეობრივ ზარალს კი ვინ მოთვლის.

პანიკას ნუ ქმნითო, თქვა თავმჯდომარემ და ალარე რაიონის ხელისუფალნი შეუწუხებია. არ მოისურვა შეწუხება. ჰოდა, სოფელიც არ შეწუხებულა. ანდა ვინღა უნდა შეწუხებულიყო. არბოშიკის 795 საკოლმეურნეო კომლში მხოლოდ 603-ია შრომისუნარიანი, მთგან ნახევარზე მეტი, ქალები არიან. იმ დღიდან, რაც დავით ბატაშვილმა თავდაჯერებით გაუყენა ოდესღაც დოვლათთა და მუშაკებით განთქმული მეურნეობა გაჩანაგების გზას, არბოშიკიდან ხალხი თანდათან აიყარა. მეურნეობას ტოვებდნენ მექანიზატორები, და მათი წასვლა გამოჩნდა დღეს, 1981 წლის ამ ავდრიან ივნისში, როცა ოთხი ახალთახალი, მეტად დეფიციტური, უდიდესი გაჭირვების ფასად შეძენილი ტ-54 ტრაქტორიდან ორი საბოლოოდ მოიშალა, როცა ხუთი ასეთივე დეფიციტური ოტტ-1 ტრაქტორიდან ერთ-ორ კვირაზე მეტი ხანა ერთ-ორ ცალ-ცალ ტრაქტორზე ბევრ ბეგარა ეკისრა. ეს ბეგარა ბევრ ადამიანს ბევრ ადამიანურ ბედ-იღბალს ეკარებოდა. ეს ბეგარა

„კომუნისტური მშენებლობის დიდი და მრავალფეროვანი ამოცანების გადაწყვეტაში უპირველესი როლი განეკუთვნება **პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს**“.

ლ. ი. ბრეჟნევი

ფინათქმა

მართლაც, სასწაულებრივ ხანაში ვცხოვრობთ, ჭეშმარიტად ღირსშესანიშნავი დღეები გვიდგას.

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია არასოდეს არ ყოფილა ესოდენ მძლავრი, ესოდენ მონოლითური და დარაზმული. ახლა მის რიგებშია 350 ათასზე მეტი კომუნისტი, რომლებიც 11.600-ზე მეტ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში არიან გაერთიანებული.

სწორედ მათ მიუძღვით ფასდაუდებელი წვლილი ჩვენს ბოლოდროინდელ უთვალსაჩინოეს წარმატებებში.

მაგრამ დრო ყოველდღიურად სულ უფრო ახალ და სერიოზულ ამოცანებს გვისახავს. **ამიტომაც საჭიროა ვამრავლოთ წარმატებანი, ხორცი შევასხათ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს, ყოველი ღონე ვიხმაროთ იმ დიდი ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის, რომლებიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა რესპუბლიკისა და მისი კომპარტიის მე-60 წლისთავის საზეიმო დღეებში დაგვისახა.**

ახლა ძალზე ბევრი რამ არის დამოკიდებული პარტიის თითოეულ წევრზე, თითოეული მათგანის მონდომებასა და შემარულებაზე, პირად და კოლექტიურ პასუხისმგებლობაზე, ჭეშმარიტ მამულიშვილობასა და კომუნისტობაზე.

ხოლო, თუ კომუნისტი ხარ, შენი მოვალეობაა გულთან ახლო მიიტანო საზოგადო საქმე, ამრავლო სახალხო დოვლათი, გულმოდგინედ ეძებო და იპოვო წარმოების, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესების, დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის გზები და საშუალებები.

თუ კომუნისტი ხარ, შენი მოვალეობაა არ შეუშინდე სიძნელეებს, ამხილო ნაკლოვანებები, რწმენა ჩაუნერგო გვერდით მყოფთ, შეგნებულად და აქტიურად განახორციელო პარტიის მიზანდასახულობანი.

თუ კომუნისტი ხარ, შენი მოვალეობაა გაბედულად ამსხვრევდე ყოველივე მოძველებულსა და დრომოჭმულს, ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის ყოველგვარ გამოვლინებას, არ გღალატობდეს სიახლის გრძნობა, მუდამ იჩენდე სიმტკიცესა და შეუდრეკლობას, როცა საქმე ეხება პარტიისა და ხალხის საარსებო ინტერესებს...

კომუნისტის ეს თვისებები ყალიბდება და ცხოვრებისეულ მრწამსად იქცევა პრაქტიკულ საქმიანობაში, ადამიანებთან კავშირურთიერთობაში.

სწორედ ამიტომ გთავაზობთ რუბრიკას — **„პირველადი ორგანიზაცია — პარტიის საფუძველი“.**

მოდით, ერთად შევებათ ამ უაღრესად საჭირო და კეთილშობილურ საქმეს...

მოდით რამდენიმე წუთით ხელი მოჰკიდეთ კალამს...

მოგვწერეთ თქვენს ორგანიზაციაში არსებული ვითარების შესახებ, რა თაოსნობებს უყრით საფუძველს, როგორ აძლიერებთ კომუნისტთა ავანგარდულ როლს, რა სირთულეებია თქვენს მუშაობაში, რა გიშლით ხელს უფრო მაღალი შედეგების მოპოვებაში.

მოგვწერეთ, როგორ იმართება პარტიული კრებები, პარტიული კომიტეტისა და პარტბიუროს სხდომები, როგორ არის დაყენებული მიღებულ დადგენილებათა შესრულების კონტროლი, რა ღონისძიებები ხორციელდება პარტიის საკადრო პოლიტიკის განსრული გატარებისათვის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლისათვის, დემოკრატიული საწყისების გაღრმავებისათვის, შინაპარტიული ინფორმაციის და საქმისწარმოების გაუმჯობესებისათვის, მშრომელთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდისათვის, ფორმალიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლისა და შინაპარტიული მუშაობის სხვა საკითხების სრულყოფისათვის.

ამ რუბრიკაში უნდა აისახოს პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების მუშაობა, რომელსაც ისინი პირველადი და საამქრო პარტიული ორგანიზაციების მებრძოლურობის ამაღლებისათვის ეწევიან. საჭიროა გამოვააშკარაოთ არსებული ხარვეზები, შევიმუშაოთ შემდგომი საქმიანობის კონკრეტული რეკომენდაციები, უზრუნველვყოთ თითოეული ორგანიზაციის უფრო აქტიური მონაწილეობა სამეურნეო და კულტურულ აღმშენებლობაში. ნუ მოვერიდებით სიმწვავეს, ჯანსაღი პაექრობა და დისკუსია მივიჩნიოთ წინსვლის უტყუარ წანამძღვრად.

ყოველივე ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დღეს, როდესაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს განხრახული აქვს სპეციალურად განიხილოს პარტიის ძირეული რგოლების მუშაობის საკითხები და დასახოს მათი გაუმჯობესების გადაუდებელი ამოცანები.

მაშ, ასე, მოგმართავთ პირველადი და საამქრო პარტიული ორგანიზაციების მდივნებს, პარტჯგუფორგებს, პარტიის რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტების მუშაკებს, კომუნისტებსა და აქტივისტებს, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ძირეული რგოლების განმტკიცების, ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის სტილისა და ფორმების შემდგომი სრულყოფის ინტერესები.

ველით თქვენს გამოხმაურებას, კრიტიკულ შენიშვნებს, წინადადებებს, ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენი მხრივ კი შევეცდებით დავაკმაყოფილოთ ყველა თქვენი თხოვნა, არც ერთი საქმიანი წინადადება და შენიშვნა არ დავტოვოთ უყურადღებოდ. ადგილებზეც გეწვევით, ერთობლივად, იქნებ, უკეთ გავიაზროთ ავიცა და კარგიც...

განსჯა, გამოცდილება, საჭირბოროტო საკითხები!

პირველადი ორგანიზაცია — პარტიის საფუძველი

სკკპ წესდებით დადგენილია, რომ პარტიის საფუძველს შეადგენენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები. სწორედ ისინი წარმართავენ შრომითი კოლექტივების მეცადინეობას ეკონომიკის, კულტურის, სულიერი ცხოვრების ყოველდღიური საკითხების გადაჭრისათვის, სწორედ აქ წარმოეს პარტიაში მიღება, კომუნისტები გადიან ლენინურ წრთობას, სწორედ მათგან იწყება ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების ჩამოყალიბება.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების ასეთი წარმმართველი როლი თანდათან გამოიკვეთა ისტორიული განვითარების პროცესში, ახალი ტიპის პარტიის შესახებ ლენინური მოძღვრების განხორციელების შედეგად. ვ. ი. ლენინი პარტიის წევრობის პირობების, დემოკრატიული ცენტრალიზმისა და კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპების დაფუძნებასთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობდა პარტიული უჯრედების განმტკიცებას.

ჯერ კიდევ რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე იგი მიუთითებდა, რომ **უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული ამოცანაა მუშათა წრეების ჩამოყალიბება, მათსა და სოციალ-დემოკრატების ცენტრალურ ჯგუფს შორის სწორი და კონსპირაციული კავშირის დამყარება.** შემდგომში, ეხებოდა რა საქარხნო წრეების საქმიანობას, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „მათ ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ: მოძრაობის მთელი მთავარი ძალა ხომ დიდი ქარხნების მუშათა დარაზმულობაშია... ყოველი ქარხანა ჩვენი ციხე-სიმაგრე უნდა იყოს“.

ძირეული რგოლების შემჭიდროების, მშრომელთა ფართო მასებთან მათი კავშირის განმტკიცების, პარტიის ორგანიზაციული წყობის სრულყოფის საკითხებს რევოლუციური აღმავლობის კვალობაზე თვით ცხოვრება სვამდა. 1905 წლის ნოემბერში დაწერილ სტატიაში „პარტიის რეორგანიზაციის შესახებ“. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა: **„გადამწყვეტი ბრძოლა ჯერ კიდევ წინაა... მუშათა პარტიის ორგანიზაციის ახალი ფორმა ან, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ძირითადი ორგანიზაციული უჯრედის ახალი ფორმა უსათუოდ უფრო ფართო უნდა იყოს ძველ წრეებთან შედარებით“.**

პირველად სწორედ აქ არის განსაზღვრული „უჯრედი“, დასაბუთებულია ახალი პირობების შესაბამისად სოციალ-დემოკრატიული წრეების ორგანიზაციის უფრო მაღალ ფორმად — უჯრედად. გარდაქმნის აუცილებლობა.

ლენინური მოძღვრება პარტიული უჯრედების შესახებ ისტორიული ვითარების გათვალისწინებით ახალ შინაარსს იძენდა და მან გადამწყვეტი როლი შეასრულა პარტიის ჩამოყალიბებაში, სოციალიზმისათვის ბრძოლის ყველა ეტაპზე მის მიზანდასახულ მოღვაწეობაში. მაგრამ იატაკქვეშეთისა და პარტიული ძალების სიმცირის ვითარებაში არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო პარტიული უჯრედების ერთიანი და წესდებით გაფორმებული მწყობრი სტრუქტურა. პარტიის ყველა წევრი არ ირიცხებოდა უჯრედში: ზოგიერთები, კონკრეტული ვითარების შესაბამისად, შედიოდნენ საერთო ადგილობრივ ორგანიზაციებში. გვხვდებოდა არა მარტო საწარმოო, არამედ ტერიტორიული უჯრედებიც, მათ აყალიბებდნენ პროფკავშირებთან, კლუბებთან და ა. შ. ამიტომაც ორგანიზაციას, რომელიც მუშათა და გლეხთა მასებს აკავშირებს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოსთან მოცემულ ადგილას. იგი მასებში ატარებს პარტიულ ლოზუნგებსა და გადაწყვეტილებებს, იზიდავს ახალ წევრებს, ხელს უწყობს ადგილობრივ კომიტეტს ორგანიზაციულ და საგიტაციო მუშაობაში, როგორც პარტიული ორგანო აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

წრე, უჯრედი, ორგანიზაცია

ისტორიული განვითარების საფეხურები

ფორმა ან, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ძირითადი ორგანიზაციული უჯრედის ახალი ფორმა უსათუოდ უფრო ფართო უნდა იყოს ძველ წრეებთან შედარებით“.

პირველად სწორედ აქ არის განსაზღვრული „უჯრედი“, დასაბუთებულია ახალი პირობების შესაბამისად სოციალ-დემოკრატიული წრეების ორგანიზაციის უფრო მაღალ ფორმად — უჯრედად. გარდაქმნის აუცილებლობა.

ლენინური მოძღვრება პარტიული უჯრედების შესახებ ისტორიული ვითარების გათვალისწინებით ახალ შინაარსს იძენდა და მან გადამწყვეტი როლი შეასრულა პარტიის ჩამოყალიბებაში, სოციალიზმისათვის ბრძოლის ყველა ეტაპზე მის მიზანდასახულ მოღვაწეობაში. მაგრამ იატაკქვეშეთისა და პარტიული ძალების სიმცირის ვითარებაში არ იყო და

რევოლუციამდელი პერიოდის პარტიულ წესდებაში შეტანილი არ არის სპეციალური განყოფილება პარტიული უჯრედების შესახებ.

როგორც ცნობილია, დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ არსებითად შეიცვალა პარტიის ამოცანები. ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ მებრძოლი პარტიიდან იგი გადაიქცა მმართველ პარტიად და ამერიდან მისი ყველა რგოლი პრაქტიკულად დაინტერესდა სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული საკითხების გადაჭრით.

ყოველივე ამან ასახვა ჰპოვა პარტიის წესდებაში, რომელიც მიიღო რკპ (ბ) მერვე კონფერენციამ 1919 წლის დეკემბერში. მასში პირველად ჩაიწერა: **„პარტიული ორგანიზაციის საფუძველს წარმოადგენს პარტიული უჯრედი“.** წესდებაში ხაზგასმულია, რომ უჯრედი წარმოადგენს

პარტიისა და საბჭოთა საზოგადოებრივ განვითარების კვალობაზე ფართოვდა უჯრედების სამოქმედო არე, გართულდა მათი ამოცანები, გაიზარდა რაოდენობრივი შემადგენლობა, დაიხვეწა სტრუქტურა. ყოველივე ამის გათვალისწინებით **პარტიის XVII ყრილობაზე უჯრედები, გადაკეთდა პირველად პარტიულ ორგანიზაციებად. ყრილობის მიერ მიღებულ წესდებაში ჩაიწერა: „პარტიის საფუძველს შეადგენენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები“.**

პარტიული ორგანიზაციების როლისა და ავტორიტეტის ასამაღლებლად განხორციელებულ ღონისძიებათა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათთვის ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლების მინიჭება. პირველად ამის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო პარტიის XVIII ყრილობამ, როცა ეს უფლება მიანიჭა საწარმოთა პარტიულ ორგანიზაციებს, პარტიის XXIV ყრილობამ კი იგი გაავრცელა ყველა პარტორგანიზაციაზე. ამასთან სამინისტროების, საბელმწიფო კომიტეტებისა და სხვა ცენტრალური და ადგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო დაწესებულებების პარტიული ორგანიზაციები აპარატის კონტროლს ახორციელებენ პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების, საბჭოთა კანონების დაცვის თვალსაზრისით.

სკკპ XXVI ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევმა მიუთითა, რომ საჭიროა პარტიული ორგანიზაციები უფრო სრულად და უკეთ იყენებდნენ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას, გამოიჩინონ პრინციპულობა საკადრო, სამეურნეო გეგმების შესრულების, ადამიანთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საკითხების გადაწყვეტისას, მტკიცედ განახორციელონ პარტიის ხაზი.

პირველი წრეებიდან მოყოლებული დღემდე ისტორიული განვითარების დიდი საფეხურები გამოიკვეთა, არნახულად გაიზარდა პარტიის რიგები, დაიხვეწა მისი ორგანიზაციული წყობის სტრუქტურა. ახლა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში 414 ათასი პირველადი, 457 ათასი საამქრო, 618 ათასზე მეტი პარტიული ჯგუფია, რომლებიც აერთიანებენ 17 მილიონ 480 ათას კომუნისტს. პარტიული ორგანიზაციები მტკიცედ რაზმავენ მშრომელთა ფართო მასებს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

„...საწარმოს სამეურნეო საქმიანობის დონე, არსებითად, ხომ მისი პარტიული ორგანიზაციის საბიზიტო გარათია, მისი სიმწიფის მაჩვენებელია“.

ე. ა. შევარდნაძე

კითხვები და პასუხები

შეიძლება თუ არა შეიქმნას კომისიები საკუთარი და ზემდგომი პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესამოწმებლად?

სკკპ XXVI ყრილობამ ხაზი გაუსვა მიღებულ გადაწყვეტილებათა დროული განხორციელების აუცილებლობას. პირველადს პარტორგანიზაციებში საკუთარი და ზემდგომი პარტიული ორგანოების დადგენილებათა შესრულებას უშუალოდ პარტიული კომიტეტი, პარტბიუროო აკონტროლებს.

ზოგჯერ პირველადი ორგანიზაცია იღებს მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი პერიოდისათვის ნავარაუდევ გადაწყვეტილებას. ამ შემთხვევაში პარტიულ კომიტეტს, პარტბიუროს შეუძლია, მომავალი სამუშაოს მოცულობის შესაბამისად, შესრულების კონტროლი დაავალოს პარტიული კომიტეტის, პარტბიუროს წევრს ან ყველაზე მომზადებულ და ავტორიტეტიან კომუნისტს. ფართოდ გავრცელდა ისეთი პრაქტიკა, როცა დადგენილების შესრულების კონტროლს ავალებენ კომუნისტთა ჯგუფს (კომისიას), რომელიც ამზადებდა საკითხს განსახილველად. კომისია თავის საქმიანობას წყვეტს, როცა პრობლემა გადაიჭრება და ჩატარებული მუშაობის შესახებ ანგარიშს ჩაბარებს პარტიული კომიტეტის, პარტბიუროს სხდომას ან პარტიულ კრებას.

ცხადია, პირველადი პარტორგანიზაცია ოპერატიულ ღონისძიებებს უნდა ახორციელებდეს ზემდგომი პარტიული ორგანოებიდან მიღებული დადგენილებების უთუოდ შესრულებისათვის, საკითხს განიხილავდეს პარტიული კომიტეტის, პარტბიუროს სხდომაზე, პარტიულ კრებაზე, სახავდეს კონკრეტულ სამოქმედო პროგრამას და, საჭირო შემთხვევაში, გამოყოფდეს კომისიას, რომელსაც სათავეში უდგას პარტიული კომიტეტის, პარტბიუროს მდივანი, მისი მოადგილე ან პარტიული კომიტეტის, პარტბიუროს წევრი.

ცალკეულ საკითხებზე ამგვარი კომისიების შექმნა ხელს უწყობს დადგენილებათა განხორციელებაში ფართო აქტივის ჩაბმას, უფრო ქმედითს ხდის კონტროლს, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს დასახული ამოცანების დროულ შესრულებას.

* * *

ბევრგან პარტიულ კრებაზე გამართულ კამათში, ჩვეულებრივ, ბოლოს გამოდის წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელი, რამდენად სწორია ეს?

რუბრიკ პრაქტიკა მოწმობს, საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები აქტიურად მონაწილეობენ პარტიული კრებების მუშაობაში. ასეც უნდა იყოს, რადგან მათ შეუძლიათ

თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიული კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს საამქრო პარტორგანიზაციების, პარტიული ჯგუფების მებრძოლურობის, შრომითი კოლექტივების წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაში მათი როლის ამაღლების საკითხებს; ამ მიზნით აქ უნარიანად იყენებენ სემინარებს, საინსტრუქტაჟო თათბირებს, პარტიულ-პოლიტიკური და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის სხვა ფორმებსა და საშუალებებს.

სურათზე: ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი კ. გუჯაბიძე მორიგ ინსტრუქტაჟს უტარებს საამქრო პარტორგანიზაციათა მდივნებს.

ჯ. ლომაძის ფოტო.

ქმედითობა, პრინციპულობა, კონტროლი

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია პარტიული მუშაობის საკითხებზე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილებამ, პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა და პარტიის ახმეტის რაიონხელმა კომიტეტმა არჩევითი პარტიული აქტივისათვის მოაწყვეს ვ. ი. ლენინის დაბადების 111-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე **„სკკპ XXVI ყრილობა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლების შესახებ“.**

კონფერენციის დაწყებამდე მისი მონაწილენი ადგილებზე გაეცნენ პანკისისა და ზემო ხოდაშნის საბჭოთა მეურნეობების პარტიული კომიტეტების მუშაობის გამოცდილებას.

კონფერენციაზე მოისმინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის დ. სტურუას, პარტიის ახმეტის რაიკომის პირველის მდივნის ვ. ბატიაშვილის, პანკისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივნის ძ. ბაღაკაშვილის, პარტიის ახმეტის რაიკომის მდივნის ვ. შიომღვდლიშვილის, ზემო ხოდაშნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივნის მ. პეტრიაშვილის, პარტიის ახმეტის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგის თ. გოცირიძის მოხსენებები იმ მუშაობის აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად უნდა გასწიონ.

კონფერენციამ მიიღო ძირეულ რგოლებში პარტიული მუშაობის გაუმჯობესების რეკომენდაციები.

მომხსენებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ თანამედროვე ეტაპზე, როდესაც თითოეული საბჭოთა ადამიანის უპირველესი მოვალეობაა იბრძოლოს სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს წარმოების გადამწყვეტ უბნებზე კომუნისტების სწორ განაწილებას. რაიონის საბჭოთა მეურნეობებში მომუშავე 923 კომუნისტიდან 858, ანუ 93 პროცენტი უშუალოდ მატერიალური წარმოების სფეროშია დასაქმებული. ეს თავისთავად ჯერი მაჩვენებელია, მაგრამ ღრმად თუ ჩავწვდებით კითარებას, შევნიშნავთ, რომ ეკონომიკურ სფეროებში, რომლის წილად რაიონის სოფლის მეურნეობის პროდუქციის 70 პროცენტი მოდის, დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში მომუშავე კომუნისტების 47.7 პროცენტი. ... ცხოველობის წილად მოდის პროდუქციის 28.8 პროცენტი, ხოლო ამ დარგში კომუნისტების ... ოლოდ 15.7 პროცენტი საქმიანობს.

დაახლოებით ასეთივე სურათია ცალკეულ მეურნეობებშიც. მაგალითად, ზემო ალვანის მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობაში 105 კომუნისტიდან 98 პროცენტი მატერიალური წარმოების სფეროში მუშაობს, მაგრამ მეურნეობის მაპროფილებელ დარგში — მეცხოველეობაში დასაქმებულია კომუნისტთა მხოლოდ 37 პროცენტი. დამფიქრებელია ერთი დეტალიც: მეღორეობაში დასაქმებულია 8 კომუნისტი, ანუ ამ დარგში მომუშავეთა 16 პროცენტი, მეცხვარეობაში კი 16 კომუნისტია, რაც ამ დარგის მუშაკთა მხოლოდ 5 პროცენტს შეადგენს. შედეგიც თვალსაჩინოა: მეათე ხუთწლედში მეღორეობამ მეურნეობას მისცა 720 ათასი მანეთი მოგება, მეცხვარეობამ კი — 1247 ათასი მანეთი ზარალი.

ამგვარი ფაქტების გაანალიზების შეოვგად ნათლად გამოიკვეთა პრაქტიკული რეკომენდაცია: **საჭიროა მკვეთრად გაუმჯობესდეს წარმოების გადამწყვეტ უბნებზე კომუნისტების განაწილება, განმტკიცდეს პარტიული ფენა ძირეულ საწარმოო რგოლებში, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა და პარტკომის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილებამ პარტიის რიგების შევსების დროს გადაფასდეს წინონ გადამწყვეტ უბნებზე პარტიული ფენის განმტკიცების ინტერესები, მიიღონ გადამჭრელი ზომები ეკონომიკური ცოდნით კომუნისტებისა და ყველა მშრომელის შეიარაღებისათვის.**

სკკპ XXVI ყრილობამ ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანად დასახა კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლება, მათი აქტიურობის ზრდა. ამის უზრუნველყოფა კი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია პარტიული დავალებების სწორ განაწილებაზე. რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში აღრიცხვაზე მყოფი 1909 კომუნისტიდან მუდმივი დავალება აქვს 1603 კომუნისტს, რაც საერთო რაოდენობის 84 პროცენტს შეადგენს. მაგრამ ზოგიერთი ორგანიზაცია მნიშვნელოვნად ჩამორჩება ამ დონეს, მაგალითად, ახმეტის ბიოქიმიურ ქარხანაში მუდმივი პარტიული დავალება აქვს კომუნისტთა მხოლოდ ერთ მესამედს და ისინიც ყოველთვის არ ასრულებენ მას. ამიტომაც „ არ არის გასაკვირი, რომ პარტიული ორგანიზაცია მტკიცედ ვერ რაზმავს შრომითს კოლექტივს საწარმოს წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტისათვის.

კონფერენციამ პირველადს ორგანიზაციებს ამოცანად დაუსახა, რომ **ყოველ კომუნისტს ჰქონდეს პარტიული დავალება, დაიწესონ კონტროლი ამ დავალებათა შესრულებაზე, ყოველი ღონე იხმარონ იმისათვის, რომ თითოეული კომუნისტი საქმის ღრმა ცოდნითა და კეთილსინდისიერებით ეკიდებოდეს თავისი პარტიული და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას.**

კომუნისტთა აქტიურობის ამაღლებას, შინაპარტიული დემოკრატიის განვითარებას მნიშვნელოვან უწყობს ხელს აგრეთვე პარტიული კრებები, პარტიული ბიუროსა და კომიტეტის სხდომები ხარისხის გაუმჯობესება, ცხოვრებისეულ პრობლემებზე ღრმა და საფუძვლიანი მსჯელობა, გონივრული ღონისძიებების დასახვა, გამოთქმული კრიტიკულ შენიშვნებზე დროული რეაგირება. გასულ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს პანკისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კომუნისტებმა 50-ზე მეტი პრაქტიკული საკითხი დააყენეს. 39 მათგანი უკვე მოგვარებულია, ხოლო დანარჩენი მალე გადაიჭრება. საქმისადმი ამგვარი მიდგომის შედეგია, რომ ბოლო წლების მანძილზე პანკისის სოფლებში აშენდა საცხოვრებელი სახლები, მაღაზიები, სასოფლო კლუბები, შენდება მრავალი სხვა ობიექტიც. ბევრი წინადადება ეხებოდა მეურნეობის მართვის გაუმჯობესებას და ამ მხრივაც ცოტა რამ როდი გაკეთდა.

კონფერენციამ მოითხოვა, რომ საჭიროა **ყველა პარტიულ ორგანიზაციაში დაინერგოს კომუნისტების კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებზე რეაგირების მწყობრი სისტემა. თითოეული კომუნისტი, თითოეული მშრომელი უნდა გრძნობდეს, რომ მის აზრს ანგარიშს უწევენ, მისი მოსაზრება უბრალო დეკლარაციული განცხადება კი არ არის, არამედ ზეგავლენას ახდენს ცხოვრებაზე, ხელს უწყობს ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, სამეურნეო და კულტურულ წინსვლას.**

კონტროლი ამ დავალებათა შესრულებაზე, ყოველი ღონე იხმა-

ცნობილია, რომ სწორი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დღის წესრიგში დგება ორგანიზატორული მუშაობა, შესრულების შემოწმების ქმედითი ფორმების დანერგვა. ამ მხრივ გარკვეული გამოცდილება დაგროვა ზემო ხოდაშნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პირველადმა პარტორგანიზაციამ. მაგალითად, პარტიის ახმეტის რაიკომის მუშაობის კომპლექსური შემოწმების შედეგების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ ზემო ხოდაშნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში მაღალია ვაზის მეჩხერიანობა.

პარტიულმა ორგანიზაციამ საფუძვლიანად იმსჯელა ამ საკითხზე და შეიმუშავა მეჩხერიანობის ლიკვიდაციის სამწლიანი გეგმა. უკვე მოპოვებულია პრაქტიკული შედეგებიც. ორი წლის მანძილზე მეჩხერიანობა 28 პროცენტიდან 11 პროცენტამდე შემცირდა. ასევე კონტროლზეა აყვანილი ზემდგომი პარტიული ორგანოების ყველა დადგენილება, რომლებიც რაიონის ცხოვრებას ეხება, შეფუშავებულია ყრილობების, პლენუმების და პარტიული აქტივის კრებების გადაწყვეტილებათა რეალიზაციის კონკრეტული გეგმები. ყურადღება მახვილდება აგრეთვე პარტიის რაიონული კომიტეტისა და მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის გადაწყვეტილებათა შესრულებაზე. მაგალითად, მეურნეობის პარტიულმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება პირუთუფვის სადგომი ბინების შეკეთების შესახებ. შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ ცალკეული ხელმძღვანელები ზერელედ მოეკიდნენ ამ საქმეს და მრავალი შეხსენების მიუხედავად, საქმეს თავი ვერ მოაბეს. ასეთი უპასუხისმგებლობისათვის სამართლიანად დაისაჯა მეურნეობის დირექტორიც, რომელსაც პარტიულმა კომიტეტმა გამოუცხადა სასტიკი საყვედური საღრიცხვო ბარათში შეტანით. შემდეგ პარტიის რაიკომის ბიურო დაეთანხმა პარტიული კომიტეტის წინადადებას და მეურნეობის დირექტორი გათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან.

კონფერენციამ ხაზგასმით მიუთითა, **რომ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაცია უმთავრესი რგოლია, რადგანაც დადგენილება თვითმიზანი არ არის, უმთავრესია მისი განხორციელება და პრაქტიკული ხარგებლიანობა. ამისათვის კი საჭიროა შემოქმედებითი მუშაობა. მკაცრი კონტროლი, საქმისადმი პრინციპული მიდგომა.**

ბევრგან უნარიანად მუშაობს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის კომისიები. ამიტომ შემთხვევით არ არის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ამ მხრივ ზემო ხოდაშნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მუშაობა. მაგრამ ყველგან როდია შექმნილი ასეთი პრინციპულობის ვითარება. მაგალითად, ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექციის მიერ დაშვებული მთელი რიგი დარღვევები შეუმჩნეველი დარჩა პარტიულ კომიტეტსა და მის კომისიებს. ასევე დროზე ვერ აღკვეთეს ახმეტის პირველ და მეორე საშუალო სკოლებში ჯიბეებული ლიბერალიზმი მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ამ სასწავლებლების პარტიული კონტროლის კომისიებმა.

კონფერენციამ საჭიროდ ჩათვალა **შემუშავდეს და დაინერგოს კონტროლის მწყობრი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დიუროკრატიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ შეუნელებელ ბრძოლას, პარტიის გადაწყვეტილებათა მტკიცედ განხორციელებას ყველა ძირეულ რგოლში, მუშაობის ყველა უბანზე.**

ახალი შინაარსით ივსება პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა მასების ინიციატივის აღზრდის დარგში. იწყობა ჯარისკაცის სახლის ღიისსწყლი, მხედრული თამაშობები, სხვა მასობრივი ღონისძიებები, რომლებიც ამკვიდრებენ ახალ ტრადიციებს, უპირისპირდებიან ყოველივე დრომოჭმულსა და მავნე გადმონაშთს, ხელს უწყობენ ახალი ადამიანის აღზრდას, მისი პატრიოტული და ინტერნაციონალური მრწამსის განმტკიცებას. **ამოცანა ის არის, რომ იდეოლოგიური მუშაობა გავათავისუფლოთ ფორმალიზმის გამოვლინებისაგან, პარტიული ორგანიზაციების მიერ ამ მხრივ გაწეული მუშაობა შეგვფასოთ არა ჩატარებული ღონისძიების რაოდენობით, არამედ მათი ხარისხით და მათგან მიღებული უკუგებით.**

მოგეხსენებათ: არჩევითი აქტივი ის ბირთვია, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს პარტიულ ორგანიზაციების გადაწყვეტილებების განხორციელებას. გასულ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს თვისებრივად გაუმჯობესდა რაიონის არჩევითი პარტიული აქტივის შემადგენლობა. კერძოდ, პარტიული კომიტეტებსა და პარტიული ბიუროების შემადგენლობაში არჩეულია 78 პროცენტი უმაღლესი განათლებითაა, ქალთა რაოდენობა 34 პროცენტს შეადგენს, გაახალგაზრდავდა აქტივის შემადგენლობა. რაიონში მკვიდრდება ხელმძღვანელ თანამდებობებზე პარტიული აქტივისგან დაწინაურების კარგი პრაქტიკა.

ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, **რომ საჭიროა ყოველმხრივ გაძლიერდეს პარტიული აქტივისადმი დახმარება, ამაღლდეს მომთხოვნელობა, პრაქტიკულ მუშაობაში გამოავაწრთოთ ახალგაზრდა კომუნისტები და გაბედულად მივანდოთ მათ პასუხისაგები უბნები, უფრო ხშირად დაიბეჭდოს რეპუბლიკურ და რაიონულ პრესაში საკონსულტაციო მასალები აქტივის ყველა კატეგორიისათვის საინტერესო პარტიული მუშაობის სხვადასხვა საკითხზე.**

დაბოლოს, ერთხმად აღინიშნა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებლად ამგვარი კონფერენციების მნიშვნელობა და გამოთქვა სურვილი, რომ ხშირად მოეწყოს ღონისძიებები პარტიული მუშაობის დადებითი გამოცდილების გაზიარ

ფაქტები • მოვლენები • კომენტარი

გიორგი სააკაძის სცენური სიცოცხლე

გორი, 23 ივლისი. (საქინფორმის კორ. რ. ცუცქირიძე). გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მორიგ პრემიერად წარმოადგინა ილია ვაკელის ორმოქმედებიანი ტრაგედია „გიორგი სააკაძე“.

თეატრალური საზოგადოებრიობის ინტერესი ამ სპექტაკლისადმი გააცხოველა ჯანსუღ ღვინჯილიას წიგნმა „გიორგი სააკაძის პიროვნება“, რომელიც ამ ციტა ხნის წინათ გამოვიდა.

სახელოვანი წინაპრის — გიორგი სააკაძის სცენური თუ ეკრანული სახე წარუშლელად აღიბეჭდა ფართო მაყურებლის მეხსიერებაში. ჩვენი სახელოვანი მსახიობის აკაკი ხორავას შემდეგ არავის უცდია გიორგი სააკაძის სახის შექმნა. და აი, სცენაზე კვლავ ვიხილეთ გიორგი სააკაძე. თავის წინამორბედთაგან განსხვავებული გმირი დაგვანახვა დამდგმელმა რეჟისორმა, საქართველოს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გიორგი აბრამაშვილმა.

სპექტაკლი თანამედროვეობის გამოძახილით სუნთქავს და ორგანულად ესატყვისება კაცობრიობის სანუკვარ ოცნებას — დედამიწაზე მარადიული მშვიდობის დამკვიდრებას.

მაყურებელმა იხილა არა მარტო დიდი სარდლის ხმლის ელვარება, არამედ მისი შინაგანი განცდაც სამშობლოს სვე-ბედისათვის. იხილა მოაზროვნე, სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც მრისხანე მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში მარტო საკუთარ ბასრ მახვილს როდი აძლევს უპირატესობას.

რეჟისორულ ჩანაფიქრს შესანიშნავად შეესახა ხორცი მსახიობმა ოთარ ქუთათელაძემ.

სპექტაკლის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით რესპუბლიკის დამსახურებულ მხატვარს შოთა ხუციშვილს, კოსტიუმების მხატვარს — რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ქეთევან ბოჭორიშვილს, თეატრის მთელ დასს.

საბინაო-სამშენებლო
ლიდა ვეინის
ზ.ჭარგეზე
ს.ზ.ო.ვ.ა.ბ.ა

საკლესისა და ახალი ამბების საბჭოს კორესპონდენტები გვაცნობებენ

23 ივლისი

● ინგლისი

წინანდელი კურსით

ლონდონი. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა მ. ტეტჩერმა კვლავ დაადასტურა, რომ კონსერვატორთა მთავრობა უარს ამბობს განიხილოს ოლსტერის დილეგების პატიმართა მოთხოვნა მათთვის პოლიტიკურ პატიმართა სტატუსის მინიჭების შესახებ. კონსერვატორთა კაბინეტის მეთაურმა წერილში, რომელიც აქ გამოქვეყნეს ჩრდილოეთ ირლანდიაში მეტად დაძაბული ვითარების გამო შეშფოთებული ლეიბორისტ პარლამენტართა ჯგუფის შეკითხვის პასუხად, დაადასტურა, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განაგრძოს წინანდელი კურსი ოლსტერში.

ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიტპატიმართა სამართლიანი მოთხოვნების მიმართ ოფიციალური ლონდონის მკაცრ პოზიციას უკვე მოჰყვა მაისის დამდეგს ექვსი პატიმრის სიკვდილი, რომლებიც იმყოფებოდნენ ბელფასტის მახლობლად ლონგ კეშის საკონცენტრაციო ბანაკში.

● აშშ

აკრძალვებენ აღიანსს

ვაშინგტონი. რ. რეიგანის ადმინისტრაციას საჯაროდ მიაჩნია განხორციელდეს სახაზრაფო ღონისძიებანი, რათა რაც შეიძლება მალე განალაგონ ამერიკის ჯარები „სინის ნახევარკუნძულზე მშვიდობის ხელშემწყობი მრავალეროვანი შეიარაღებული ძალების შემადგენლობით და უზრუნველყონ მათი ეფექტიანი საქმიანობა“.

ეს განაცხადა სენატის საგარეო საქმეთა კომისიაში გამოსვლისას ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ აზიის საქმეებში ნ. ველიოტესმა.

ადმინისტრაციის წარმომადგენლის თქმით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკვე გამოყო „ძრავალეროვანი ძალების“ შემადგენლობაში საბრძოლო ნაწილები, ზურგის მაშველი ქვეგანყოფები და მომსახურე სამოქალაქო პერსონალი. მან თქვა, რომ გაცემულია ბრძანება დაიწყოს სამშენებლო სამუშაოები იმ ჯარების მიღებისათვის მოსამზადებლად, რომლებიც კემპ-დევიდის გარიგების შესაბამისად სინის ნახევარკუნძულზე უნდა განალაგონ 1982 წლის 20 მარტიდან. ამასთან დაკავშირებით ადმინისტრაციამ კონგრესს მოსთხოვა 135 მილიონი დოლარი „თავდაპირველი ხარჯებისათვის“.

სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ისიც დაადასტურა, რომ ვაშინგტონი აზორცელებს „ენერგიულ დიპლომატიურ ღონისძიებებს“, რათა სხვა ქვეყნებსაც მიაღებინოს მონაწილეობა „მრავალეროვან ძალებში“.

ფოტოობიექტივი ამხილებს

● იტალია

განაჩენი გამოუტანეს

რომი. ქალაქის სასამართლომ სამუდამოდ პატიმრობა მიუსაჯა თურქ ნეოფაშისტს მეჰმედ ალი აღჯას, რომელიც მიმდინარე წლის 13 მაისს თავს დაესხა რომის პაპს იოან პავლე მეორეს.

საკლესის ცნობა

1981 წლის 18 ივლისს დაუდგენელი კუთვნილების თვითმფრინავი ირანის მხრიდან შემოვიდა საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში ქალაქ ერევნის რაიონში.

თვითმფრინავების ფრენის კონტროლის საბჭოთა სახმელეთო სამსახურის ყველა შეკითხვასა და ყველა ცდაზე, დახმარება აღმოეჩინათ მისთვის, თვითმფრინავის ეკიპაჟი პასუხს არ იძლეოდა, განაგრძობდა ფრენას საბჭოთა ტერიტორიის თავზე და სახიფათოდ მანევრირებდა.

ცოტა ხნის შემდეგ ეს თვითმფრინავი საბჭოთა თვითმფრინავს შეეჯახა, დაიმსხვრა და დაიწვა.

ამერიკელები ოკინავაზე

პენტაგონი განაგრძობს იაპონიის ჩათრევას თავისი საგარეო-პოლიტიკური კურსის მორეგში. ვაშინგტონი, რომელმაც იაპონიის კუნძულები სამხედრო-საზღვაო და საავიაციო ბაზების ჯხელში გაიხვია, ცდილობს ისინი ბირთვულ არსენალად აქციოს.

ბოლოდროინდელი მხილებანი მოწმობს, რომ უკანასკნელ 20 წელიწადში შეერთებულ შტატებს იაპონიის ტერიტორიაზე შეჰქონდა დიდძალი ბირთვული იარაღი.

იაპონიის პროგრესული საზოგადოებრიობა გულისწყრომით ხვდება ოკეანისგაღმელი „მოკავშირეების“ ამგვარ აქციებს.

სურათზე: როგორც საკუთარ სახლში, ისე გრძნობენ თავს ამერიკელი საზღვაო ქვეითი ჯარისკაცები ოკინავაზე მდებარე ნაპას ბაზაში.

საკლესის ფოტო.

ფაქტის კომენტარი

წინააღმდეგობანი კი დარჩა

ოტავა. აქ დამთავრდა შვიდი წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნის — ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის, იაპონიისა და კანადის ორი დღის თათბირი ეკონომიკის საკითხებზე.

